ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 6 3 4 - 1 1 3 0 6 2011 წ.

დადგენილება №000786
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.06.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 15 აპრილის №000786 მითითება და 2011 წლის 6 მაისის №000786 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ფაზისი"-ს (ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20 / საიდენტიფიკაციო №208156412, მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის "ა" პუნქტით (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20-ში შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ განხორციელდა ორსართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის (შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა) გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 15 აპრილს შედგენილ იქნა მითითება №000786 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 15 აპრილს), რომლითაც განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2011 წლის 6 მაისს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000786 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 10 მაისს), რომლითაც დაფიქსირდა შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 3 ივნისს მოეწყო სამართალდარღვევის საქმის განხილვა. საქმის განხილვის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ფაზისი"-ს წარმომადგენელი მოქ. ნოდარი ივანიძე (პირადი №01028000495, მინდობილობა №100360499, რეგისტრირებული ნოტარიუს

ქეთევან ბოჭორიშვილის მიერ 19.04.2011წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მხარემ განაცხადა, რომ აპირებენ საჯარიმო თანხის გადახდას და ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის მიმართული აქვთ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ასაღებად.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის პ. ხარძეიშვილის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა და წარმოადგინა ობიექტის ამსახველი ფოტომასალა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის "ა" პუნქტით (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20-ში შ.პ.ს. "ფაზისი"-ს მიერ განხორციელდა ორსართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის (შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა) გარეშე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მუ-3 პუნქტითა და 22-ე მუხლის "ა" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ფაზისი" დაჯარიმდეს 10.000 (ათიათასი) ლარით ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20-ში ორსართულიანი შენობა-ნაგებობის უნებართვოდ მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, რკინიგზის ჩიხი №20-ში უნებართვოდ აშენებული ორსართულიანი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

3. შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ფაზისი"-ს დაევალოს შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

საგადახდო დავალება N 1

2011 წლის 24 ივნისი

რეფერენსი
ID-178534899

გადამხდელი შპს "ფაზისი" 208156412

გადამხდელის ანგარიში 360201010200002

გადამხდელის ბანკი სს "პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება შპს "ფაზისი"

საიდენტიფიკაციო კოდი 208156412

მიღები ხაზინის ერთიანი ანგარიში / არასაგადასახადო შემოსულობები / თბილისი

მიღების ანგარიში / სახაზინო კოდი 300773263

მიღების ბანკი / ხაზინა სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22

დახდის დანიშნულება: დადგენილება #000786 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

თანხა
10,000.00
თანხა სიტყვებით
ათიათასი ლარი 00 თეთრი
ბანკის აღნიშვნები
შესრულების თარიღი:
24.06.2011
ბანკში შემოსვლის თარიღი:
24.06.2011
ხელმოწერა
შტამპის ადგილი